ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 443

27 ნოემბერი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდაძის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2015 წლის 18 სექტემბრის №20 ოქმის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 24 სექტემბრის №43 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 27 ოქტომბრის №04/19458 წერილის (AR1338287) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდაძის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1338287 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი



სზ-6	8
0.4	2.7
0.1	ბ

სზ-6	8
0.5	3.7
0.1	ბ

ქ. თბილისი კალანდაძის ქუჩა №3
საკადასტრო ნაკვეთი კოდით
განაშენიანების ინდექსების ცხრილი

ტერიტორიის ფართი	3845 კვ.მ
განაშენიანების ფართი	1468,8 კვ.მ (1-0.4)
განაშენიანების ინტენსივობა	11535 კვ.მ (2-3.0)

ბიოლოგიურად აქტიანი ზედაპირი	1133 კვ.მ
	1119 კვ.მ
	4140 კვ.მ

სექტორი ა

ტერიტორიის ფართი	2712 კვ.მ
განაშენიანების ფართი	956,9 კვ.მ
განაშენიანების ინტენს.ფართი	7395 კ.მ

სექტორი ბ

ტერიტორიის ფართი	1133 კ.მ
განაშენიანების ფართი	511,9 კ.მ
განაშენიანების ინტენს.ფართი	4140 კ.მ

	1
	2
	3
	4
	5
	6

1. ზონის საზღვარი
2. საფეხურებიანობა და ბიმალული
3. განაშენიანების კოეფიციენტი კ-1
4. მიწისქვეშის კოეფიციენტი კ-2
5. მაფრენების კოეფიციენტი კ-3
6. სახურავის ტიპი

- საგზაო ნაგები
- ასფალტბეტონი
- ბაღი
- კოეფიციენტებული ფართები

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
- მაფრენის ხაზი
- ქუჩა-ლაფების ხაზოვანი
- ასფალტბეტონის ტროტუარი
- განაშენიანების ინტენსივობის ხაზი

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
- განაშენიანების ინტენსივობის ხაზი
- ფეხის ნაკვეთის გაფართოების ხაზი